ტრენინგები ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრი აგრძელებს სასწავლო პროგრამის განხორციელებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2014 წლის არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის.

2014 წლის 25-26 მაისს ცესკოს სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის განხორციელებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2014 წლის არჩევნებისათვის ცესკოში დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსით რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ბოლო არჩევნების მონაცემების გათვალისწინებით საარჩევნო პროცესებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე ორგანიზაციებისათვის. აღნიშნული ტრენინგების პირველი ეტაპი განხორციელდა მიმდინარე წლის 27 აპრილს.

ტრენინგი ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფას მათ მიერ სადამკვირვებლო ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები ტრენინგის მონაწილეებს გააცნობენ საკანონმდებლო სიახლეებს, კენჭისყრის დღის პროცედურებს, დამკვირვებელთა უფლებრივ მდგომარეობას, საარჩევნო დავებთან და განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხებს.